

მეცნიერება

№ 9

№ 9

1883—1906 წ.

15 მაისი.

შოველ კეთილ საქმეს ეშმაკი ეღობება წინ.

სიმათოსის და უმართლოების, სიკეთისა და უკეთურების, კეთილისა და ბოროტების ბრძოლას დასასრული არა აქვს. ეს ბრძოლა იმ დრომდის გაგრძელდება სანამ, ეს ჩვენი ცოდვით და ბოროტებით სავსე, ქვეყანას ბოლო არ მოეღება და კაცობრიობა არ გადაშენდება. დააკვირდით კარგად ხალხის ცხოვრებას და თქვენ აშკარად დარწმუნდებით ამაში. ზოგიერთები დარწმუნებულნი არიან, რომ თუ ვიტტე, ღუწოვო და მისი კომპანია, ბიუროკრატია მოშორდა ხალხის მშართვა-გამგეობას, თუ კადეტებმა, ან სოციალ-დემოკრატებმა და ან ხალხის თავისუფლების მომხრეებმა გაიმარჯვეს, მაშინ ქვეყანაზე დამკვიდრდება სამოთხე და ყოველივე უწესოება, უკანონობა, უთანასწორობა მოისპობა და დადგება ნეტარების დრო!.. სოციალ-დემოკრატები ამას წინედ სწერდნენ, „ელეა“-ში, რომ ერთი იერიშია საჭირო, რომ ქვეყანაზე მოისპოს ყოველივე უკეთურება და დამარცხდეს თანასწორობა! დიად, ერთი იერიში კმარა! კაცი სადაც უნდა იყოს და როგორცაა ერთი და იგივეა. მას თავისი ნაკლულევენება თან დასდევს. კაცმა თუ ღვთის მსგავსება დაჭარბა ცხოველზე უარესი და უსაძაგლესია, რომელ ჯგუფსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი. გადაათვალიერეთ უცხო სახელმწიფოების პარლამენტები და ნახეთ თუ რა ხდება იქ? რა მოხდა ინგლისის პარლამენტში როდესაც ირლანდიელი დეპუტატები თავისუფლებას და გათანასწორებას თხოვლობდნენ? როგორი მუშტი-კრივი დამართა საფრანგეთის რესპუბლიკის პარლამენტში ვიოლანდსა, ჟორესსა და სხვა დეპუტატებში? რა ჩაიდინა სამხედრო მინისტრმა ბულანჟემ? ერთი სიტყვით

რამდენად მეტად დაუცვირდები ხალხის ცხოვრებას იმდენად მეტად რწმუნდები, რომ ქვეყანაზე ნიადაგი ბრძოლა ანგელოზებისა და ეშმაკების ძალთა შორის. რამდენად მეტნი არიან ეშმაკების მომხრენი იმდენად მეტი და გამარჯვებულია ბრძოლა სიბნელის ძალებისა. რამდენად მეტია მომხრენი ანგელოზთა ძალებისა იმდენად მეტი და გამარჯვებულია ბრძოლა სიკეთისა ბოროტების წინააღმდეგ. ეშმაკი მეტის მეტად მაცდურია. დღევანდელს ანგელოზს იგი ხვალ ეშმაკად აქცევს და ბრძოლის ველზე გამოიყვანს საოპრად. სიკეთის წინააღმდეგ. გარწმუნებთ დღევანდელის ღუმის მოტრფილეს ცოტა ხნის შემდეგ ბევრს გადიოლიებს იგ და დაიწყებინებს თავის კეთილ მიმართულებას!.. ასეთი სუსტი არსება არის კაცი! ამისათვის სახარება და მთელი საღმრთო წერილი, დაბადება ყოველთვის აფრთხილებს მორწმუნეთა მედგრად ებრძოლონ ეშმაკის გავლენას, ყოველთვის მღვიძარედ იყვნენ და არ მოსტყუვდნენ ეშმაკის ათას ნაირ მომხიბლოვ დაპირებებით. ეშმაკი ხშირად ისეთ წმიდა და დიდ კაცებს გაიხდიდა ხოლმე თავის იარაღად, რომ ვერაინ ვერ წარმოიდგენდა თუ იგინიც შესცდებოდნენ და ეშმაკის მაცთურებას ვერ ასცილდებოდნენ. რას ჩაიდან ეშმაკემა საერო წოდებაში და ამ წოდების დაწესებულებებში ამაზე შემდეგ ვიტყვი. დღეს ჩვენ გვიან აღვნიშნათ ერთი შესაშინევი ფაქტი, რომელსაც ადგილი აქვს სასულიერო წოდებაში.

ყველამ კარგად იცის, რომ ასი წლიწინა რაც ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია დაობლდა და მოკაცულების კანონისამებრ დანიშნული მზრუნველი არ ყავს. რა ხეირი უნდა დამართოდა ამდენიხნის განმამაგელობაში ობოლს უმზრუნველოდ?



მზრუნველების სახელით, მართალია, ბევრნი იყვნენ. მაგრამ ქრისტეს და მოკრძელების კანონისამებრ აღრჩეული არავინ არ ყოლიბია. დღეს მოეგო სამღვდლოება და ხალხი გონებას და შეიმუშავა გეგმა ეკლესიის ნამდვილი მზრუნველის და მამის აღრჩევისა მოკრძელების კანონისამებრ. დღეს გამოიღვიძა სამღვდლოებამ და მიხვდა, რომ ერთად ერთი ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან მოკლევადიანი ამისთანა მზრუნველს, თორემ ფრანგებს, სომხებს, თათრებს, და ურიებსაც უღირს ხნიდგან როგორც ყოლიბითა ისე ჰყავთ, გამოარცხულია მართო ქართველები. ანგელოზთა მომხრენი, სიკეთისა და სინათლის მოტრფილენი აღტაცებაში მოვიდნენ ამ ამბით. მაგრამ გააწარდა ეშმაკი, რომელც ნიადაგ იბრძვის და ეკლესიის დამზობას ლამობს. დააფრინა საქართველოს ყველა კუთხეებში ბოროტი სულები. თვითონ, რადგან მას სხეული არა აქვს, ხომ ვერავის დაუწყებს ლაპარაკს. შთაუძვრა პირში რამდენიმეს და გაიხადა სხვა-და-სხვა დაპირებით თავის იარაღებად. ეშმაკის დაპირება და თვალთ-მაქცობა ხომ გასაოცარია! პირველად მღვდლებივე გაიხადა იარაღებით. შთააგონა დიდი ჯამაგირების მიმღებთა მოძღვრებს: «რას შერებით? როგორ გაჩერებულხართ? დაილუპებით თუ ავტოკეფალია დაარსდა; ჯამაგირებს მოგისპობენ და შიმშილით მოკვდებით. დამიჯერეთ, ხელი აიღეთ მთვ ავტოკეფალიაზე, თორემ ბევრს ინანებთ მოღოს». შიშისაგან შებურბოლითა მიამურეს რუსულ გამოცემებს და მზაკრულად, სოფლის სამღვდლოების სახელით, განაცხადეს: «არ გვინდა ავტოკეფალია, ძლიერ კმაყოფილი ვართ ექსარხოების მმართველობით. ავტოკეფალიას თხოვილობენ ეკლესიის მტერნი და არა მოყვარენი». ეშმაკისათვის ეს კმარადა. მეორე გზით ეს ბოროტი სულები შეტრებილი მოძღვრებს გამოეცხადენ სხვა-და-სხვა საპატო კაცების სახით და შთაუთხრეს: «დაილუპებით ავტოკეფალიით, ჯამაგირებს მოგისპობენ, ჩვენ ეს დანამდვილებით ვიცით, დაანებეთ ავტოკეფალიის თხოვნას თავი. თუ დაგვიჯერებთ ჩვენ ვეცდებით თითო კრებულს ათასი მანეთი დაგენიშნოსთ ჯამაგირად». ზოგიერთ მოძღვრებს ეს რჩევა მტრის მტრად მოეწონა და თქვეს: ათასი მანეთი სწორედ კარგი ჯამაგირი იქნება და რად გვინდა ავტოკეფალია, განაცხადეს: კარგი, არ ვითხოვთ ამიერიდან ავტო-

კეფალიაზე. ბოროტმა სულებმა გაიხარეს და იმედი მიეცათ გამარჯვებისა, მაგრამ ეს არ იკმარეს. შეეცადენ, რომ უფრო დაახლოებოდენ დიდებულ ბატონებს. აქ სულ სხვა კილოზე დაიწყეს შთაგონება. «ბატონო, რა ხელს მოგცემს თქვენ ავტოკეფალიის შემოღება? რაც დიდება ჰპატივი გაქვს ის ხომ სულ ჩამოგერთმევთ! დღეს ვინც გასურსთ იმას აირჩევთ და გააბედნიერებთ, ბატონი ხარ ყველაფერში და ავტოკეფალიის დროს ვინ რად ჩავგადებს? ვისაც წარმოგიდგენენ ის უნდა გააბედნიერო და შენი გაბატონებაც მათზე იქნება დამოკიდებული. ვერავის დააჯილდოებ შენი სურვილისამებრ და ვერავის ასარგებლებ. ამისთანა სამსახური განა სასურველია?» ამითაც მოუვიდათ ქუთაში ეს დარბევა. ჩვენ უკეთეს რამეს გირჩევთ, კიდევ განაგრძეს ბოროტმა სულებმა თავისი მავნე შთაგონება. საქართველოს ეკლესია, რომ აყვავდეს და დიდი ნაყოფი მოიტანოს თქვენ მიიღეთ ეხლად შედგენილი პროექტი. აქ დაინიშნება ექსარხოლად ქართველი და მაშინ თქვენ იქნებით ბატონიც, პატრონიც და ყველაფერი სამღვდლოებისა და საზოგადოებისათვის... ეს შთაგონებაც სწორედ ქუთაში მოუვიდათ ზოგიერთებს და დღე-დღეობით მოელიან ამის აღსრულებას, ჰგონიან, რომ საქართველოს ეკლესია ამისთანა ახალ მართვა-გამგეობის მინიჭებით გაბედნიერდება!?

დიად, ნამდვილ ეშმაკებმა მოხიზლა ზოგიერთი სასულიერო და საერო პირები თავისი მცდურებით და წინააღმდეგი მსჯელობა დააწყებინა იმ გეგმის განსახორციელებლად, რომელიც სამღვდლოების დღეგატებაში შეადგინეს დეკემბრის თვეში ქ. თფილისში. ზოგიერთებს ეს გეგმა არ მოსწონს ამისთვის, რომ მოსპობილია იქ ყოველივე უმსავსესობა, ქრთამიანობა და ეკლესიის დამლუპველი წესები. ამ გეგმის განსახორციელების შემდეგ უნიკობას, უზენოობას და უმართლოებას აღარ მიეცემა ისეთი ფართო ასპარეზი როგორც დღეს აქვს მინიჭებული. მაშინ აღარ შეიძლება სთქვას ვინმემ: «მე ვინც მინდა იმას დავაჯილდოებ, მე ვინც მსურს იმას გავაბედნიერებ და იმას ვაკურთხებ და არა იმას ვინც ღირსია. მთელი ქვეყანა, რომ იხახოდეს „ღირსი არსი“ მე არ დავიჯერებ თუ იგი მე არ მომწონს და ჩემი სასურველი არ არის». რამდენად პატიოსანი იყო განსვენებული გაბრიელი და როცა ვეტყვოდი:

ბატრონო, ეს არ შეიძლება, კანონით თქვენ არა გაქვსთ უფლება ასე მოიქცეთ. გაჯავრებული იტყვოდა ხოლმე: „კანონი თვითონ მე ვარ და არ დავემორჩილები არსებულ კანონებს“...

როცა დეკუმბერში სამღვდლოებისაგან შედგენილ გეგმაზე ჩამოუღებთ ლაპარაკს ზოგიერთ ეპისკოპოსებს იგინი იტყვიან ხოლმე: „ეს გეგმა თუ ასრულდა, ჩვენ მაშინ მონასტერში უნდა წავიდეთო და იქ დავჩრქვთ. რილასი მოხელე ვიქნებით? ქართველი ეპისკოპოსი თუ ექსარხოსად დანიშნა მეტი რაღა?.. ზოგიერთები მთ ეთანხმებიან და საბედნიეროდ მიაჩნიათ ეს რეფორმა საქართველოს ეკლესიისათვის...“

თუ გინდ რომ ყველამ დაგვემოს ჩვენ მაინც არ დავეთანხმებით მათ, რომ საქართველოს ეკლესია აღუვადეს ქართველი ექსარხოსისაგან. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ეკლესიის დიდი საფრთხე მოეღოს თუ ექსარხოსად ქართველი ეყოლა. ვადათვალთქვენი კაცობრიობის ისტორია თუ რამე ხეირი დაყრიდა თავიანთებისაგან როცა იგინი ინიშნებოდნენ ვაბატონებულებისაგან დამორჩილებულთათვის. რა დამართა ებრაელების ხალხს და სარწმუნოებას მატაფისი ზე იუდის დროს ალკიმ მღვდელმთავრისაგან. რამ მოუღო ბოლო ისე მალე ისრაილის ხალხის მფეობას? ვინ იყვნენ ამ დამხობის მიზეზნი? აი კითხვები, რომელთაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამღვდლოებისა და საზოგადოებისაგან...

ქართველი ეპისკოპოსი ექსარხოსად დანიშნული! ჩვენ ვერ გავიგია რას ნიშნავს ეს? ქართველი ეპისკოპოსების და ეპარქიების დამორჩილება პირდაპირ სინოდზე, სხვა ეპარქიების მსგავსად—მესმის. ვისთვის და რისთვის არის ექსარხოსი საქართველოს იმისთვისო, იტყვიან ზოგიერთები, რომ სასულიერო საქმე საქართველოში უკეთესად წავიდესო. ნუ თუ ასი წლის განმავლობაში ვერ დარწმუნდნენ, რომ საქმე უკეთესად კი არა უარესად მიდის... ეკლესიები მლოცველთაგან ცალიერდება, ხაზინის ფულები იფლანგება, იქურდება, ენა ისპობა, სარწმუნოება და ზნეობა სუსტდება და სხვა რაღა კეთილს უნდა მოელოდეს კაცო? ექსარხოსობის მოსპობა თფილისელებს საზოგადოების და სასულიერო წოდების დამამკირებლად მიაჩნიათ! მოდი და ელაპარაკე ეხლა თქვენ იმისთანა საზოგადოებას, რომელსაც


ექსარხოსობის დაარსებით თავი მოაქვს და ეს თანამდებობა დიდ სასახლოდ მიაჩნია!.. მომეცი ნება, მკითხველო ერთი პატარა ამბავი მოგითხრათ თუ რა შეხვედრულა აქვს შეგნებულ კაცებს ექსარხოსობის თანამდებობაზე.

საქართველოს ექსარხოსი პალოლაი ინახულა სომხების ქათალიკოსმა მაკარიმ ზე ვიზიტი გაუკეთა. ექსარხოსმა ორი არხიმანდრიტი ქუჩაში მიავება, ორი ეპისკოპოსი სახლის ეზოს ქიშკართან და თვითონ სამღვდლოებით სახლის შესავალ კარებთან დაუხვდა ძირა სართულში. რიგი და კანონი იყო იმასაც უნდა ენახა და ვიზიტი გადაეხალა. წაბრძანდა ორი მღვდელმთავრების ხლებით. მივიდა ვანქის ტაძრის ეზოში. არა თუ ქუჩაში, ეზოშიც არავინ შეგებებია. მიადგა ქათალიკოსის სადგომის კარებს. აქ ერთი ტერტერა დახვდა. ჰკითხა ქათალიკოსი უქვიფოლ ხომ არ არისო და მან მიუგო არაო. გაკვირდა ექსარხოსი. ავიდა კიბეზე. კარებში არ მიგებდა ქათალიკოსი. რომ შევიდა დარბაზში ქათალიკოსი აბრძანდა ტახტიდან და მიესალმა. დაიწყეს მუსაიფობა. ექსარხოსი არ მოუთმინა გულმა და უთხრა: «თქვენო უწმიდესობავ! ჩვენც, თუმცა არჩეული არა ვართ, მაგრამ, საქართველოს ქათალიკოსის ადგილი გვიკავია და ქათალიკოსის პატივი გვეკუთნის. აი, ხომ ხედავთ, უწვენა ორ ხლებულ მღვდელმთავრებზე, ერთი ამთავანი უგანაალებულეს თავდათავანი არის და მოარეც დიდი დამსახურებულო და მე მახლოვარან. მთავარმწოდის პირით მიუგო ქათალიკოსმა მაკარიმ.— არა, თქვენ სცდებით თუ ექსარხოსობა ქათალიკოსობად მიგაჩნიათ. ექსარხოსი გზირად არის დანიშნული მართებლობისაგან, რომ ხალხის და ეკლესიის საქმე ისე მოავაროს როგორც მას სურს და მის მართებლობას და არა ისე როგორც სასარგებლო იქნება ეკლესიისა და ხალხისათვის. ქათალიკოსი კი მამა არის ხალხისა და სამღვდლოებისა, რომელიც ნიდაგ ზურუნავს თავის შვილელებისა და ეკლესიის წარმატებისათვის. ის ყოველთვის მაცადინობს დედა ენაზე ებასოს თავიანთ შვილებს. თქვენ სადიდან ებასებით ქართველ ხალხს, რომ მათი ენა სრულებით არ იცით? არა, შეგცდარი ბრძანდებით თუ ექსარხოსობა თქვენ მიგაჩნიათ ქათალიკოსობად. რაიცა შეეხება თქვენ მხლებელ მღვდელმთავრების აზრს, თუ ისინი ქათალიკოსად გიყურებენ, მათ არ სცოდნიათ არც

თავისი ეკლესიის და არც სამოქალაქო ისტორია, არ სცოდნით არც ექსარხოსის თანამდებობის მნიშვნელობა და არც ქათალიკოსის თანამდებობა!

დიად, როცა ქართველი ქართველი კაცის ექსარხოსობას საბედნიეროდ მიიჩნევს, როცა ქართველი ეპისკოპოსიც ამ თანამდებობას მიიღებს მაშინ მშვიდობით ავტოკეფალობავ, მშვიდობით მართლმადიდებელი საქართველოს ეკლესია რ სამღვდელთაგან!..

სოფლას ხუცესი.



გაბრთხილდით, მამანო!

ამ რამდენისამე დღის წინად გაზ. „კავკასია“ დღის ამით აუწყა თავის მკითხველებს, რომ ქართველ სამღვდელთაგანში აზრი დაიბადა, დეკემბრის გადაწყვეტილება შეიცვალოს და ავტოკეფალობის ნაცვლად, კვლავ ექსარხოსობა დარჩეს, მხოლოდ ექსარხოსი ქართველთაგანი უნდა იყოსო.

მართალია, „შრომა“-ში გამოცხადებულ იქნა, ვითომ სამღვდელთაგანს კრება ჰქონებოდა და განმეორებით. დემტკიცებინოს დეკემბრის განაჩენი. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ჩვენ სხვა წყაროებიდან უფრო დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენს სამღვდელთაგანში და ძველ ფორმაციის ინტელიგენციაში მოიპოება არა ერთი და ორი პირი, რომელნიც დღის ენერგიით აგატაცავენ ექვთიმ ქართველ ექსარხოსის სასარგებლოდ. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ ჩვენს სულიერ მამებს შემდეგის გაბრთხილებით მივმართოთ.

ნურავინ იფიქრებს, ვითომ წარსული წლის დეკემბრის კრების მიერ წამოყენებული ძირითადი რეფორმები ჩვენის ეკლესიისა უკმ ფანტაზიის ნაყოფი იყოს. არა! ამ რდაკაჟურ რეფორმებს თვით ჩვენი თანამედროვე ცხოვრება თხოულობს მედგრად, — და ვი მას, ვინც ამ მოთხოვნის აუცილებლობას დროიდან ვერ შეიგნებს.

როგორია ეს რეფორმები? ა) გამოცხადება საქართველოს ეკლესიისა კეძისა სარწმუნოებრივ კავშირად ანუ საზოგადოებად; ბ) სრული იერარქიულ-კანონმდებლობითი დაშლა და დახლეობა (ავტოკეფალია)

სხვა ეკლესიათაგან. გ) განშორება ეკლესიისა სახელმწიფოსაგან, დ) სასწრაფო წესი და კრებითი გამგეობა; ე) მოსწავა სახელმწიფო ხაზინის შუამდგომლობისა მწყემსთა და სამწყოს შორის.

ხუთივე ეს მოთხოვნილება თვით ცხოვრებამ წამოაყენა და სასტიკად სცდებიან ისინი, რომელნიც თავს იტყუებენ, ვითომ ჩვენის ეკლესიის აწეწილ მდგომარეობის დალაგება და მოწესრიგება ქართველ ექსარხოსების დანიშნით შეიძლებოდა. დმერთმა ნუ ჰქნას, რომ ამ ყალბ შეხედულებას ჩვენის სამღვდელთაგანს უმრავლესობაში ფეხი მოეკლდოს; რადგან დარწმუნებით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ უკეთუ ჩვენი სამღვდელთაგან ამ ყალბ გზაზე შედგება, ყოველი აქტიური ელემენტი ჩვენის საზოგადოებისა ზურგს შეაქცევს და ზიზღს გააუღუცხადებს..

ამიტომ ფრთხილად, მამანო!.. (შრომა)



მწარმე ფიქრები.

ზოგიერთი ჩვენი „მეცნიერები“ სწერდენ ამას წინეთ და სინარულით აუწყებდენ საზოგადოებას, რომ გლხენება და საზოგადოდ ყველამ ისეთი გამოცდილება გამოიჩინეს კრებებზე აღმარეველებს კენჭის ყრის საქმეშია, რომ გვეგონებათ ჩვენი საზოგადოება მომწიფებული ყოფილა საპარლამენტო საქმის ვითარებისათვისო. დიად, ჩვენი საზოგადოება ძლიერ შეგნებული ყოფილა არჩენების საქმეში, თურმე როგორც ეს ქუთაისის საზოგადოებამ დაამტკიცა სახელმწიფო სათათბიროს წევრების აღმარეველების კენჭის ყრით. ჩვენ ცოდნდეს არა გვეკონდა დრო ქუთაისში დავსწრებოდი და ამ „შეგნებული“ კენჭის ყრის ნახვით გვეცნობოდა, მაგრამ ეს არაფერია. „შრომა“-მ გაგვაცნო და შევავატყობინა ყველაფერი თუ რა შემწენიერად შეგნებულად მიდიოდა კენჭის ყრა!.. მე ვგონებ, რომ ეს შესანიშნავი „შრომის“ წერილი, რომ გადათარგმნონ ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე, ისინიც დასტკებოლდენ ჩვენი ხალხის „შეგნებით“ და შეიძლება იმათაც წაემაძათ ქუთათურ აღმარეველებისათვის!.. რომ სასებით შთაებეულს გონე-

ბაში ეს «მშენებელი» ხალხის შეგნებულმა მკითხველს მოგიყვანთ ამ შესანიშნავ წერილს აქვე:

„ქუთაისის კანკის ყრის დროს ყოველთვის სხვა ელფერი სდევს. 24 აპრილსაც, იმ სასტიკი რეჟიმის მიუხედავად, რომელიც აქ არის გამეფებული, სხვა ფერი დაედო, მაგრამ რაღაც უცნაური, არა სასიამოვნო. ამ დღეს გაცხარებული ბრძოლა იყო ბიულეტენების ჩაჩეხებაზე და საწყალი ამომრჩეველი „ფარულად“ ოთხისა თუ ხუთის დარაჯით, ვითომც ტუსადი, მიდიოდა ყუთთან, იგი იყო ამ ოთხისა თუ ხუთის დარაჯის სრული მონა, მას არ ჰქონდა არც აზრის ნება და არც ფიქრისა; არა ჰქონდა ნება თავისი სახელი და გვარი ეხსენებინა, არა თუ ეხსენებინა, გაეხსენებინა.

— თქვენი სახელი? ეკითხება თავმჯდომარე.

— 331.. ამ დროს მუჯღუგუნს წაჰკერენ დარაჯები. — 33, 331..

— როგორ, თქვენი სახელი არ იცით, დაგავიწყდათ?

— დიდი, დამავიწყდა...

— მაშ მიბრძანდით.

წავიდა. ცოტა ხნის უკან «დარაჯები» ისევ შემოტრიალდნენ.

— ბატონო, თავმჯდომარე, ცოტა შექვიფიანებული გახლდათ, თავისი გვარი დაივიწყდა, ეხლა ისეც გაიხსენა...

— თქვენ რა გვარი ხართ? ეკითხება ასისენტი მეორეს.

დარაჯებმა მუჯღუგუნს წაჰკერეს ამომრჩეველს.

— მე, პარტენი, გვეტამე ვარ.

— თქვენი სახელი, მამის სახელი, სადა სცხოვრობ.

მეგრელი დადგა არ იცოდა, რა ეთქვა. მიიყვანეს მეგრულის მკოდნე. მეგრულმა აუხსნა, რომ ქუჩაში დამიჭირეს, წამიყვანეს და არ ვიცი სად მიყვევართ ან რისთვის, გთხოვთ გამათავისუფლეთო.

— თქვენ რა გვარი ხართ? — ეკითხებიან მეორეს. ამომრჩეველი ცოტა შეფიქრიანდა. იქით-აქით იხედება.

— მე, ბატონო ნი — ძე გახლავართ.

აქვე საზოგადოებაში მისი ნაცნობები აღმოჩნდნენ.

— არა გრცხვენინათ, ყმაწვილო, მე ხომ გიცნობთ: თქვენ ნა — ძე ხართ და არა ნი — ძე.

ამომრჩეველს ენა დაებნა.

აგერ მოდის მეეტლე, ხელი-ხელ გაყრილი მოჰყავს ორ კაცს, ორიც წინ მიუძღვის, ორი უკან მიჰყვება. მიიყვანეს ყუთთან, მაგრამ იმასაც არ ელოზიან რომ ჩაავდოს ბიულეტენი.

აგერ ერთს უზიდან ამოცალეს ბიულეტენი, მეორეს ჯიბეები დაუჩხრიკეს და ორცა დარწმუნდნენ, აღარსად ექნებოა, მერე წაიყვანეს და მიაჩვენეს ხელს სასურველი ბილეთი.

არა მგონია ვისმე სატირიული ნიჭი შესწევდეს იმ ტრაგიკომედიის ასაწერად, რომელიც ამ დღეს მოხდა. მონაწილეობას იღებდნენ გოგოლის „მკვდარი სულები“. ამომრჩეველთა ნახევარი არ ყოფილა, იყვნენ მისი არა მკითხვე ექვილები, რომელნიც იმათ გვარს ირქმევდნენ და მის საარჩევნო უფლებით სარგებლობდნენ.

ამგვარად, პირადი პოლიტიკური არჩევნები ქუთაისში იყო „საყოველთაო“, ე. ი. ვისაც სურდა, ის იღებდა მონაწილეობას პარტიის აგენტების მფარველობითა და დარაჯობის შემწევობით. მაგრამ ამავე დროს იგი იყო დარღვევა ამ პრინციპისა, რადგან არავის არ უსარგებლია თავის უფლებით, ისე, როგორც სურდა. ეს არჩევნები იყო სრული უპარყოფა პირდაპირი არჩევნებისა, რადგან ერთის მაგიერ მეორე, სრულიად უცნობი, იღებდა მონაწილეობას, იგი იყო სრული დარღვევა ყველასთვის თანასწორობისა, რადგან მხოლოდ იმას შეეძლო თავისუფლად შესვლა დარაჯში, ვინც ცნობილი იყო, როგორც მართლ-მორწმუნე. ფარული კი არ იყო, საქვეყნო, რადგან ყველამ იცოდა, ვინ ვის ირჩევდა, ფარული იყო მარტო ამომრჩეველებისათვის, რადგან იმის ნებასაც კი არ აძლევდნენ, რომ ძალით ჩაჩეხებული ქილალი მაინც გაეყინჯათ?

და ამასა ჰქვიან პოლიტიკური არჩევნები? ეს ხომ ისევ ქუთაისის „ბანკობანაა“. დახელოვნებულ კანდიდატებისაგან ამომრჩეველთა დატუსაღება და დაქერა, მათის ნების დამატება და ხალხის გარყვნა?

მერე ნუ თუ ენატიებათ ეს იმათ, რომელნიც ხალხის მასწავლებლად და ერთგულად სთვლიან თავიანთ თავს. ნუ თუ ის, რასაც ბიუროკრატიულ პოლიტიკის უკიფინებლით, ის ძალმომრეობა, რომელსაც ვიტყვებ-ღურნოვოსაგან მოველოდით, უკიდურეს პარტიის წარმომადგენელმა უნდა ეადროს? ნუ თუ ხალხის წარმომადგენლობა ნაძალადევი უნდა იყოს,

ანუ ხალხის გარყვნასა და შურთაცხოფაზედ აგებული? განა ამის შემდეგ თქვენ დაარწმუნებთ ვისმეს და მით უმეტეს პარლამენტარიზმის ცხარე კრიტიკოსებს, რომ თქვენ რისამე ინტერესი გაქვთ, გარდა იმისა, რომ ხელში ჩაიგდოთ ძალა და უფლება და მოიკლათ ძალის მოპოების სურვილი? ნუ თუ დებუტატობა ღირს იმ უცნაურ, იმ შემავინებელ და შემარცხველ მოქმედებად, რომელიც თან დაწყვა პირველ პოლიტიკურ არჩევნებს ჩვენში?

სამარცხენო კომედია არჩევნების შესაფერის ფინალით გათავდა. მეორე დღეს, როცა ბიულეტენის ითვლიდნენ, ვილაკამ ხელი დასტაცა ერთი ყუთის ბიულეტენებს და სულ ლუკმა-ლუკმად აქცია. სრულიად სამართლიანი ნაყოფი ძალმომრეობისა ამ კაცმა, რომელიც დამნაშავედ ითვლება კანონის წინაშე ხალხისა და საზოგადოების წმინდა ნაწილის მაგიერ ზნეობრივი შური იძია, მან საზოგადოების და ხალხის სინდილის საიდუმლო განკიცხვა და მსჯავრი განახორციელა და დაჭმოს ის სამარტენო მოქმედება, რომელმაც პირველი პოლიტიკური არჩევნები ჩვენში პირდაპირ რაღაც უცნაურ, ავაზაკურ და ყაზაღურ მოქმედებად აქცია. („შრომა“ № 28).

მე ვგონებ, რომ განმარტება ამ წერილს აღარ უნდა, ყველა კარგად მიხვდება ჩვენი ქუთათური საზოგადოების მეკენჭეების გამოცდილებას...

*
*
*

ღვთისგან კურთხეულ შორაპნის მახრის აღმრჩველების კენჭის ყრას თვითონ დავესწარით ღ „დავსტებით“ ხალხის შეგნებით. აქ 1400 დაბარებულ მეკენჭეებიდან გამოცხადდა მხოლოდ ას-ორმოცდაათი. (ჩემის აზრით ბევრია!) დანარჩენმა ისე არა იცოდა რა როგორც მე და თქვენ, მკითხველო, არ ვიცით თუ რას ფიქრობს ამ წამში ჩინეთის ბოგდინანი და მათი დედოფალი კუან-სუი მანჯურისის გაწმენდის შესახებ. ამბობენ, საქვეყნოდ გამოცხადდა კენჭის ყრის დღეო, მაგრამ ხალხი ამბობს არაფერი არ გამოგვეცხადებიაო. სასა, რომ კითხულობდნენ ძალიან მალალის ხმით იძახოდნენ სახელს და გვარს მათი ბრწყინვალეობა—ა—ძე და, როცა ის დაიღალა მერმე, დ. ქ—ლი, მაგრამ მაინც არაფერ გამოცხადდა და ხმა არ გასცეს, რადგან ბევრი ჩაწერილი მეკენჭეები, ისე უზრდელად მოქცეულან, რომ არ დაუცდათ კენჭის ყრისათვის და ხუთი-ექვსი წლის წინათ საიქიოს გამგზავრებულან! არა, რა მიამჩარე-

ბდათ ამ საცოდავებს საიქიოს! დამტკბარიყვენ აქჯერ „შეგნებული“ კენჭის ყრის ცქერით!.. აქ ვინც შეგნებული არ იყო მალე შეაგნებინეს. იარი სამი დამე საკმაო იყო ვინ უნდა აერჩიათ, სოციალ-დემოკრატები, კადეტები, თუ ფედერალისტები. მსწრაფლად განუმარტეს საზოგადოებას ყველა პარტიის მიზანი და მისწრაფებანი. ზომ იცით, სოციალ-დემოკრატები პროლეტარების პარტია არის; ხომ იცით ბოლოს ბურთი და მოედანი მათ დარჩება და ისინი შეიქნებიან მდიდრები და საბოლოოთა ნეტარი ცხოვრება ექნებათ, უხსნის ერთი. კადეტებს ბატონ-ყმობის შემოღება სურთ და ღარიბები სძულოთ, განმარტებს მეორე. ფედერალისტები არიან იმ ჯგუფისა, რომელთაც საკუთრება არა სწამთ და სხვისი სიმდიდრით ყველას შეუქლია ისარგებლოს.. გაიგო ხალხმა ყველა პარტიის მიმართულება.. დასახელებს კანდიდატები ყველა პარტიებისა და დაიწყეს კენჭის ყრა. კადეტების პარტიის კანდიდატები არ აირჩიეს, რადგან მათ ბატონ-ყმობის შემოღება სურვებიათ! ფედერალისტების პარტიაში, რომელიც დიდი ქონების იყო აირჩიეს და რომელსაც არა გააჩნდა რის ვის გაუზიარებს ქონებას როცა თვითონ არა აქვს რაო, სთქვეს, და არ აირჩიეს. სოციალ-დემოკრატებმა ვერც ერთი ვერ ამირჩიეს. ერთის არჩევა სურდათ, მაგრამ ოციოდ მეტე შავი კენჭი მიიღო. სთხოვეს თავმჯდომარეს ნება ხელ-ახლა ეყარათ კენჭი და თავისი შეცდომა გაესწორებიათ, მაგრამ ამის ნება ვერ იხოვეს.

კენჭის ყრა, რომ გათავდა ყური და უფლებ ორი კაცის საუბარს და აი რა მოვისმინე.

—რომელ პარტიას ეკუთვნით თქვენ? ეუბნება ერთი მეკენჭე მეორეს.

—მე პროლეტარების პარტიას ვეკუთვნი, მიუგებს იგი.

—შენ რომელ პარტიას ეკუთვნი, კითხავს მეორე პირველს.

—მე ფედერალისტ პარტიას ვეკუთვნი, მიუგებს იგი.

—კაცო შენ ათასი მანეთის ღვინოს გაყიდი წელიწადში და საღაური პროლეტარი ხარ?

ზნაფეტარა. მეტი რომ გავყიდი უკეთესი არ იქნება? რაცა გვაქვს ხომ გვაქვს? იმაზე ვერავინ წამოგვედავება და თავდა-აზნაურობის, სახაზინო და საეკლესიო მამულებს, რომ დავვირიგებენ, აი მაშინ



ვიქნები ნადიგობი პროლეტარი! ჩვენ ხელში იქნება ყოლიფერი და თავად-აზნაურობა მაშინ ჩვენი მოსამზახურები იქნებიან! ჰო, როდეს იქნება ეს დრო, ერთი მოვესწრო მალე და, მაშინ, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატები და პროლეტარები გაბატონდებიან და ბედნიერ ცხოვრებას დაიწყებენ. ნეტავი იმას ვინც ამ დროს მოესწრება! შენ, კაცო, რათ ავირჩევია ფედერალის პარტია?

ფედერალისტი. მე მიტამ ავირჩიე ფედერალის პარტია, რომ საკუთრება მათ არა სწამთო, ვისაც აქვს რამე შენც თავისუფლად შეგიძლია თურმე ისარგებლო! ამას რა სწამია! რათ მივაკლავ მუშაობას თავს. თუ აქვს რამე ვისმეს—ჩემიც არის, ცოტაა ქვეყანაზე მდიდრები? ერთი არ მომწონს, ამ საეკლესიო მამულებს, რომ ამზობენ სად არის? ჩვენ ვახრეკლ ველსისას ნახევარი ქვეყა მიწა აქვს და ის რას იზამს? მერმე ხატის აღარ ეშინიათ ამ კაცებს? დღეს იქნება არ უწიოს, მაგრამ ავერ ბოლოს იქნება ავერ შვილის შვილს დაამწაროს...

კაცო, ეს რა ამბავია, ამზობს მესამე. მე მეგონა რალაცა სხვანაირი კენჭის ყრა იქნება მეტეი და ეს არაფერი არა ყოფილა—რა. მამასახლისის არჩევანზე თუ ორი მესამედი არ დაესწრო ნაკლებსაგან არჩეულს არ დაამტკიცებენ. ათას ოთხს მეკენჭეში ას-ორმოცდა ათი მოვიდა მარტო და ამათ არჩეულს კი ამტკიცებენ!.. რა უნდა იქნეს ასე უკანონოდ არჩეული კაცებისაგან! ღმერთმა მშვიდობა მისცეთ და ვნახოთ რა ადგილებს და სიმდიდრეს დავერივებენ!..

აქნება ავტოკრფალი თუ არა? ავტოკრფალიის შემოღების წინააღმდეგნი თან-და-თან ჩდებიან, სამწუხაროდ, როგორც თეთრის ისე შავ სამღვდლოებაში. თუ ჩვენი ეპისკოპოსები და სამღვდლოება ერთსულობით და ერთგულობით იმოქმედებენ ავტოკრფალიის დაარსება ძლიერ ადვილი საქმეა, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ ჩვენი მღვდელმთავრები და სამღვდლოება ერთად შეთანხმდენ ავტოკრფალიის დაარსებაზე. მღვდელმთავრებს საშინლად ეზარებათ აღრჩევითი წესის შემოღება სამღვდლო პირთა. დღემდის კიდევ ვერ გაბედეს ბლაღოჩინების კენჭით აღრჩევის შემოღება. ავტოკრფალია თუ დაარსდა მაშინ არა თუ ბლაღოჩინები, არამედ თვითონ ეპისკოპოსები და მათი მდივნებიც კენჭის ყრით უნდა

იქმნენ აღრჩეულინი და ამახდ როგორ დათანხმდებიან? ამისათვის თუ ჩვენში ავტოკრფალია არ დაარსდა ამაში უმთავრესად დამნაშავენი იქნებიან ჩვენები და არა უცხოელები. როგორც შევიტყვეთ, სინოდში უკვე შეუმუშავებით ამას წინეთ როცა ჩვენი ეპისკოპოსები ყოფილან ავტოკრფალიის მაგიერ ქართველ ექსარხოსიან დანიშვნა და კანტორის გადაკეთება. ზოგიერთ ეს ძლიერ მოსწონთ, მაგრამ აქ მოსაწონი არა არის რა. სამღვდლოებამ ამ საქმეს ყურადღება უნდა მიქციოს და კარგად დაფიქრდეს...

ერთ საპატია პირს სამღვდლოებისათვის გამოუცხადებია: თუ ავტოკრფალიაზე უარს იტყვით ათას ათასი მანეთი დაგენიშნებათო. ზოგიერთ მოძღვრებს ძლიერ მოსწონებიათ ეს! არც გასაკვირველია ეს, რადგან ათასი მანეთის გულისათვის ზოგიერთი რას არ ჩაიდენს! დიად, მარტო ბორჯომის ხეობაში კი არ ყოფილან კუზიანები, არამედ სხვაგანაც!..

სოფლის ხუცესი.

შურნალ-გაზეთიშვიდან.

სასქელმწიფო სათათბაროს კრება. კრება დიწყო დილის 11¹/₂ საათზე. წიკითხეს მოლოცვის დეპეშები ფინლიანდიის სეიმისა, ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზისა, პრაგის ქალაქის თავისა, პრაგელ ჩეხთა საერო საბჭოსი, სომეხთა კათალიკოზისა, ქალაქის გამგეობისა, მოქალაქეთა და ერობის მცხოვრებთა, მუშათა და მოსამზახურეთა, ებრაელთა საზოგადოებისა, სასწავლებლებისა, სამეცნიერო საზოგადოებებისა, პედაგოგიურ ორგანიზაციებისა, დრო გამომშვებით გამოცემებისა, სხვა და სხვა საზოგადოებისა, პოლიტიკურ პარტიების კომიტეტებისა, კერძო კაცებისა დასასრულ ოთხი დეპეშა იმ ტუსალებისა, რომელნიც ნოვოზიბოკოვსა, ჩიტასა, კარგოპოლსა და პოლტავაში არიან დაპატიმრებულინი. ჩიტოდან მიღებული დეპეშა ამ შინაარსისაა: „ზნელ სატუსალოს კედლებიდან სალამს ვუძღვნით სახელმწიფო სათათბიროს. გულით გისურვებთ ძალასა და ერთობას ხალხის კეთილ დღეობისათვის ბრძოლაში“.

კარგოპოლის ტუსალები ულოცავენ სათათბიროს და იმედს აცხადებენ, რომ მალე გაიმარჯვებს საქმე პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებისათ.

ნოვოზიბოკოვის პატიმართა დევეშა: «სალამს უძღვნით რუსეთის პარლამენტს. გვრწამს, რომ რუსეთის ხალხის მიერ არჩეულნი მოითხოვენ მიწას და თავისუფლებას და ამასთან ერთად არ დღივწყებენ იმ მოქალაქეებს, რომელნიც ათასობით იტანჯებიან საპყრობილებებში».

პოლტავიდან მიღებული დევეშა: «ჩვენ, ნათესაენი იმ პოლიტიკურ პატიმრებისა, რომელნიც ანდრიაშვეკაში არიან, ვემუდარებით სათათბიროს, ეცადოს რაც შეიძლება მალე გამოცხადდეს ამნისტია პოლიტიკურ პატიმართათვის».

ამ დევეშებს სათათბირო დემონსტრაციულის ტაშის ცემით მიეგება. ყოველ დევეშის წაკითხვზე გაისმოდა: „ამნისტია, ამნისტია“-ო, ამას გარდა, დევეშების წაკითხვის შემდეგ მთელი სათათბირო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა.

შემდეგ გაიმართა კამათი სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგებისა, სათათბიროს მდივნის და იმის ამხანაგების არჩევის გამო. კამათმა ცოტა ხანს გასტანა, რადგან ზოგიერთმა დეპუტატებმა განაცხადეს: ამისთანა საქმეს ხელად უნდა მოაგრეთ და შეუდგეთ უნაღდეს საკითხს,—ამნისტიას. მთელი ქვეყანა ჩვენ შემოგვეყრება, ელის ხნას და დავეიანება დანაშაულობა იქნება. თავმჯდომარის ამხანაგის კანდიდატებად დასახელდეს: პროფ. გრედესკული, თავ. დ. დ. დოლგოროუკოვი, გრაფი გეილენი, მაქსიმოვი, სტახოვიჩი, ნაზარენკო, ჟილიკინი და თავ. დოლგოროუკოვ-შახოვსკოი. ყუთი დაიდგა პირველმა ორმა. 429 ხმიდან თავ. დოლგოროუკოს 332, ხოლო გრედესკულს—372. ორივე არჩეულ იქმნა. მერე შეუდგენ მდივნის არჩევას. დასახლებულ იქმნენ: თავ. შახოვსკოი, კუშმინ-კარეევი და სხვანი. ყუთი დაიდგა შახოვსკოიმ, რომელსაც ამოუყვიდა 380 თეთრი. მდივნის თანაშემწედ ერთხმად არჩეულ იქმნა ხუთი კაცი: შაპოშნიკოვი, კოკოშკინი, რიშკოვი, შერენშევიჩი და პონიატოვსკი.

ამის შემდეგ სათათბირო უნდა შესდგამოდა დეპუტატების რწმუნებულთა შემოწმებას, მაგრამ მოითხოვეს როლინგვის წინადადების განხილვა ამნისტის შესახებ. როლინგვის წინადადებით, სათათბირომ უნდა მიჰმართოს მეფეს სეფე-სიტყვის საპასუხო ადრესით. ამ ადრესის შესადგენად არჩეულ იქნას კომისია 33 კაცისაგან. ადრესში უსათუოდ შეტანილ უნდა იქმნას აუცილებელი საჭიროება ამნისტისა იმათთვის, ვინც დაპატიმრებული არიან სარწმუნოებრივ, აგარაულ და პოლიტიკურ საქმეებისა გამო. ამნისტის საკითხის გამო რამდენიმე ორატორმა ცხარე სიტყვა წარმოთქვა. ილაპარაკეს როლინგვა, ანიკინმა, ერშოვმა, მილკინმა, გრედესკულმა და სხვებმა.

რადიქევი. „ზატონებო! აქ, ჩვენ-როდის, ამბობენ, რომ პარტიები უკვე გამოირკნენ, რომ სათათბიროს მოქმედების მიმართულება უკვე ყველასათვის აშკარაა. შეიძლება ყველა პარტიის სურდეს, თავისი წარმომადგენელი იყოლიოს სარედაქციო კომისიაში, მაგრამ იმ საქმეში, რომელიც მე ეხლა სათათბიროს უნდა წარუდგინო, არავითარი პარტიოზა არ უნდა იყოს. ეს საქმე საპარტიო არ არის, იგი სახალხო, დიდი და ეროვნული საქმეა. დიდი საქმეში პარტიები არ უნდა იყვნენ. ჩვენ ეხლა აქ კანონის ბედ-ილალი არ გვანტერესებს. ამნისტია—შეწყალება—მეფის უფლებაა და ჩვენი განცხადებამნისტის საჭიროების შესახებ გამოწვეულია ტანჯულ ხალხის საერთო მოთხოვნალებით. ის სიტყვა, რომელიც ჩვენ უნდა წარმოვსთქვათ, არ არის ნაყოფი ჩვენი სურვილისა, იგი ვედრებაა, მოთხოვნა და სურვილი მეფის რუსის ხალხისა, და, მაშლობა ღმერთს, რომ გერ კიდევ არის დრო სურვილის გამოთქმისა: შეიძლება ორიოდ დღის შემდეგ სურვილის გამოთქმაც-კი გვიან იყოს. საარჩევნო მოქმედების დროს ყველგან ერთი ნატერა, ერთი სიტყვა ვგვისმოდა—ამნისტია“. იცოდეთ, ამნისტია მთელის ხალხის მოთხოვნაა და არა მარტო დატანჯულთა და მათ მახლობლთა. ამ გოჯოხეთ თვეების განმავლობაში ყველა არ დაისაჯა, მაგრამ ყველა დიკტანჯა ცეცხლითა და მახვილისაგან, რომელმაც მოჰქანცა ჩვენი სამშობლო. ეხლა სისხლი ისე უხვად აღარ იღვრება, როგორც ამას წინად, მაგრამ მიინც მარტო აპრილში 99 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. ეს ამბავი მოხდა იმ სახელმწიფოში, რომელიც თავის სამასწავლებლო კათედრიდან ამყობდა და ყურებს გვიქვდავდა, ჩვენ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა არ არისო. მაშ მოვითხოვოთ ამ პირობების შეცვლა. მოვითხოვოთ ცხარეობის ისეთ

პირობების შექმნა, რომელიც შესაძლებელ ჰყოფს მშვიდობიანობას და მოქმედებით მუშაობას. აქ, ამ დარბაზში, სადაც ჩვენ ხალხის სურვილით შევიკრიბენით, ეს სისხლის სურათები თვალწინ გვიდგას; უნდა მოვიშოროთ, უნდა ავიცილოთ იგი თავიდან, რომ მუშაობა შეესძლოთ (ცხარე ტაშის ცემა). შემედარია ის, ვინც იფიქრებს, რომ ამნისტია დანაშაულობის სანქცია, დასტურიაო. ამნისტიის მოწინააღმდეგეები გვეტყვიან: „შეწყალებული დამნაშავენი არ მოიშლიან დანაშაულობის ჩადენსაო“. მართალი არ არის. სიკვდილით ხალხის დასჯა და უღებთა-ხორცვა—აი, რა ჰქმნის დანაშაულობას. თუ თქვენ მართლა გსურთ დანაშაულობის მოსპობა, ითავეთ და მოითხოვეთ საყოველთაო პატიება. ამით მოიმოქმედებთ პოლიტიკურ სიბრძნის უმაღლეს აქტს. როდესაც მთელი ქვეყანა განახლების სურვილით არის გატაცებული, ნუ შეზღუდავთ ხალხის სიძუნწით და ვაჰრობით. გავციტ წყალობა დიდად და უხვად. დაიფიქრეთ ერთის დანაშაული და თქვენსას მრავალს დაიფიქრებენ. ნუ ჩაიდენთ შეცდომას. გაუსწორებელ შეცდომას 21 ოქტომბერისას. მოითხოვეთ საყოველთაო პატიება—ეს საჭიროა განახლებულ ცხოვრებისათვის. თვით უფლების მქონეთათვისაც საუკეთესო დრო დადგა. იგინი ბედნიერ გარემოებაში არიან. ისტორია თვით გვგვება წინ. არ უნდა მოიქცნენ ისე, როგორც წინად იქცოდნენ, არ უნდა უკუაგლონ ხალხის ღია გული. ახალი შეურაცხყოფა ბევრად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე ის, რომელმაც მთელს სახელმწიფოში ღრმა სიძულილი გამოიწვია. მოვიტყუეთ ერთსულოვანად, ნუ ვიკამათებთ წყალობის საზღვრებზე. იმათთვის, ვინც იღებს გამო სიკაცხლესა სწირავს, სიკვდილით დასჯა არ უნდა არსებობდეს. იმათ დასჯა მხოლოდ პატიებით შეიძლება. გთხოვთ, თუ შესაძლებელია ეს საქმე, სამშობლოსა და კაცთ-მოყვარეობის გულისათვის, ერთხმად გადასწყვიტოთ.“ (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ახიანა: „თქვენ მოისმინეთ, ბატონებო, ბრწყინვალე სიტყვა, მხურვალე მოწოდება მოწყალების სათხოვნელად. მე ასე არ ვილაპარაკებ, მე არ მოვითხოვ მოწყალებას. მე ვამბობ: უნდა განათავისუფლოთ უდანაშაულონი. დიად, ბატონებო, უდანაშაულო ხალხი, ქუჩებში შეპყრობილი, მახლობელთ დაშორებული, ათი ათასობით საპყრობილე-

ებში გიმინავს და იტანჯება. ეს ამოდენა ხალხი ჯოჯოხეთს განიცდის, სიმწარისაგან თავს კედლებს ახეთქავს. ბატონებო, მე მოუწოდებ სამართლიანობას. გლენობა ათი ათასობით იტანჯება საპყრობილეებში, სადაც მათ კატორგაში მყოფზე ცუდად ინახავენ. საშავლად აქმევენ, შეურაცხყოფენ, სტანჯავენ. ამ გლენებს მცარცვლებად ნათლავენ, მაგრამ განა ისინი დამნაშავენი არიან? გლენობა შიმშილის პირზე მისული ხალხია, იგი მოკვლევულია ყველაფერს, იმ საშუალებასაც, რომ გონიერი სიტყვა სთქვას, ან გაიგონოს ვისგანმე. არ შეიძლება გლენთა განსჯა. მე სამართლიანობას ვითხოვ აგრარულ მოძრაობაში მონაწილეთათვის. როგორც გლენს, შემოძლიან ვსთქვა, რომ ამ სატკივრით მთელი რუსის გლენობა არის ავად. მოვითხოვ თავისუფლებას, როგორც სამართლიანობის აქტს“.

აჯადინა: „ბატონებო! მე არა მსურს ვილაპარაკო არც მოწყალეებზე და არც სამართლიანობაზე. მე არ მოგმართავ თქვენ, რომელთა შორისაც, დარწმუნებული ვარ, არ მოპოვება ერთი კაციც-კი ამნისტიის მოწინააღმდეგე ან შემზღვეველი. მე მივმართავ იმათ, რომელთაც უნდა იცოდნენ ვისთანა აქვთ საქმე (მარჯვნივ და ცენტრში ყვირიან: „კმარა! კმარა!“ მარცხნივ: „გთხოვთ განაგრძოთ!“). ორატორი ცოტა არ იყოს ღამბარაკის ძაღს ჰკარგავს და ისეთ მკაცრ სიტყვებს აღარა ხმარობს. დასასრულ ამბობს:) მე მივმართავ იმას, ვისაც ყველაფრის შესრულება შეუძლიან. მივმართავ უბრალო, ნათელ სიტყვებით: „უშველეთ სამშობლოს, აიღეთ საქმე თქვენს ხელში და ნუ გვაძულებთ, რომ ჩვენ ავიღოთ ჩვენს ხელში“ (ცხარე ტაშის ცემა).

ერშაგი: „როგორც მუშათა დებუტატს, ნება მიბოძეთ ჩემი აზრი გამოვსთქვა. ახლო მომავალში პირველი მისია. გულით მსურს, რომ ამ დღემ როგორც ნამდვილმა საერო დღესასწაულმა ჩაიაროს, ნუ გადასდებთ, ბატონებო, ამნისტიის წმიდა სამქეს, უნდა იგი საჩქაროდ გადასწყვიტოთ. ნუ დუკარგავთ პროლეტარიატს რწმენას. ისე მოიქეცით, როგორც ხალხის ქემარიტ წარმომადგენელთ შტაფეტის და მხარს დაგვიჭრს ხალხიც და პროლეტარიატიც“.

მიჯანა: „მე მრცხვენინან აქ ამნისტიაზე ლაპარაკისა. ჩვენს ქვეყანას ბევრი ვაჰრობება აქვს, ხალხი ათას ტანჯავსა და ჯოჯოხეთშია. დაიტანჯ-



ნენ გლახები, მოქალაქენი, მუშები, ინტელიგენცია და მთელი რუსეთი, მაგრამ ჩვენ მარტო ამნისტიას ვლაპარაკობთ. ყველგან ასეა და ჩვენც, ხალხის წარმომადგენელი, არ შეგვიძლიან ჩვენი სიტყვა არ წარმოვსთქვათ. ჩვენ გვიბრძანეს მოვითხოვოთ და არა წყალობა ვითხოვოთ. მე მშვიდობიანი, სუსტი კაცი ვარ და შემიძლიან ვიმოქმედო მხოლოდ მშვიდობიანის გზით, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვედრებისა და მუდარის დრომ გაიარა, ხალხი მედგრად მოითხოვს და ელის. რად ვლაპარაკებით ერთმანეთს, როცა ჩვენთვის აშკარაა, რომ ხალხის სურვილი უნდა ავასრულოთ. დეე, ხალხმა გაიგოს, რომ პირველი სიტყვა რომელიც ჩვენ წარმოვსთქვით, იყო ის სიტყვა, რომლის წარმოთქმაც მანვე ვებრძანა. ეს საუკეთესო თავლები იქნება ჩვენის მომავლისა. ხალხი დარწმუნებული იქნება, რომ ჩვენ დანარჩენ სიტყვებსაც ვიტყვით. ჩვენ ვავიანებთ და ეს დავიანება გულს გვიწყლავს, ჩვენ გვინდა ჩვენი გეგმა და მოთხოვნებიანი რიგზე ავასრულოთ, მაგრამ, იცოდეთ, თუ ვერაფერს ვერ მივაღწევთ, უნდა წავიდეთ, განზე დავდგეთ და თვით ხალხი დადგება იმათ პირის-პირ, ვინც იმის მოთხოვნებიანს არ ასრულებს“.

საზოგადოებრივი: „წმინდა სიტყვა ამნისტია უკვე წარმოითქვა, მაგრამ, ერთი ვიკითხოთ, რა არის ამნისტია? იგი ჩვენის სურვილების უძირო ორმოა. ჩვენ გვინდა განავითავისუფლოთ ერთნი, რომ ხვალ ხელ-ახლა ვიხილოთ ჩამოხრჩობა და სიკვდილი. ამნისტია არაფერია უამისოდ, თუ სიკვდილით დასჯა არ იქნება გაუქმებული. მეტყვიან: არ შეიძლება უკანონოდ სიკვდილით დასჯის გაუქმება, უნდა შემუშავდეს კანონი. დეე, კანონი თავის გზით მოვიდეს, მანამდე კი ხალხმა, რომელმაც ჩვენ გამოგვგზავნა, სთქვა: „წადით და მშვიდობიანის გზით მოიპოვეთ ამნისტია, მიწა და თავისუფლება“. ჩვენც მოვიდით, როგორც უშუამავლანი, მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად რუსეთში. თუ მართლა მშვიდობიანობა სურთ, უპირველეს ყოვლისა უნდა გაუქმდეს სამხედრო წესები, უნდა განთავისუფლდნენ ყველა ტყვეები“.

გაფრთხილება: „მე პროტესტს ვაცხადებ იმათ წინააღმდეგ, ვინც ამბობენ: ამნისტია საყოველთაო შეწყალებაა. არა, ბატონებო, ამნისტია დაიწყება მარტო, ყველა იმისა, რაც იყო და რამაც ამ-

დენი ტანჯვა შეგვიძინა. ჩვენ უთვალავ მსხვერპლის გამებზე გადმოვიარეთ და ისე მოვიდით აქ, მოვიდით მშვიდობიანობისათვის. ჩვენ თავისუფალ ხალხის შვილები არ ვიქნებით, თუ პატივებზე ვიფიქრებთ, უნდა დავივიწყოთ ყველაფერი“.

საოფიცოანო (ვარშაველი): „მოქალაქენო და მოქალაქეთა წარმომადგენელნო! მე აქ სიტყვები კი არა, მწარე ცრემლით შეზავებული გოდება მოვიმინე. მეც ასეთი გოდება და ცრემლი მოვიტანე პოლონეთიდან. არ ვლაპარაკებ იმაზე, თუ რას ვანიტის პოლონეთი. ჩვენ ყველანი ერთის ტანჯვით ვიტანჯებით. შორს არ წავიდ და იმას მოგახსენებთ, რის მოწმეც დღეს ვიყავით. დღეს, სახელმწიფო სათათბიროში შემოსვლის დროს, შეგხვდი ცნობილი ეტლს, რომელსაც დანჯარები მავთულებით აქვს აღარებული. ბევრმა აქ მყოფმა კარგად იცის, რა ეტლია ეს ეტლი. აღარ უნდა იყოს ასეთი ეტლები. მოგვეცი თავისუფლება. ამას ხალხი თხოულობს, თხოულობს გატაცებით, თავგამოდებით“.

ოქმინაიჭაი: „ბატონებო, ჩემი მოვალეობა, როგორც გლახისა, მიიძღვება ვლაპარაკო ჩემ მომეთა შესახებ, რომელნიც ასობით იტყუებდნენ საპრობილემებში. გლახობა მიწისა და თავისუფლებისათვის იბრძოდა და მიბრძანა, მოვიპოვო ერთიცა და მეორეც. ომი, როგორც სჩანს, გათავდა და ეხლა ზავის ჩამოტანდნის გზაზე ვდგევართ. მაშ თუ აგრეთ, დაველოდებით ჩვენი მიქვლები, დაუბრუნეთ ყველანი თავიანთ ოჯახებს. დეე, თავისუფლებისათვის მებრძოლთ იგრძნონ თავისუფლება“.

სქელხაიჭაი: „მოწყალება თუ სამართლიანობა, ვედრება თუ მოთხოვნა? არა ამნისტია დღეს საჭიროებაა. ხალხის მიერ ჩადენილი დანაშაული, არ არის ხალხის დანაშაული. ეს ისტორიამ და მთელმა ძველმა წესწყობილებამ მოიტანა. სიმდიდრე და ბრწყინვალეობა სატახტო და სხვა ქალაქებისა, ბრილიანტები და სრა-სასახლები, — ყველაფერი ეს ბნელ ხალხის ოფლისა და სისხლის ნაყოფია. ხალხი უკვე იღვიძებს, იგი მიხვდება ყველაფერს. საჭიროა დროზე გავეთდეს საქმე. აქ სთქვეს, მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებად. ამისთვის შრომა-კი აღარა ღირს. ჩვენ მშვიდობიანობა გვინდა და ვედრებით კიდევ. ამას გარდა, როგორც ყახხანმა, უნდა ესთქვა, რომ ჩვენმა უკვე განკაცულმა წესწყობილებამ ჩემი მომეც ყახხანები გადააქცია ხალხის შინაურ

მტრად, ამიერიდან ეს არ უნდა იყოს. ყაზახები ისეთივე მოქალაქენი უნდა იყვნენ, როგორც სხვები არიან. ყაზახები უნდა განთავისუფლდნენ სამსახურისაგან და შინ დაბრუნდნენ*.

ილაპარაკეს აგრეთვე ეკატერინოსლაველმა მუშამ მიხაილიჩენკომ და გლენხმა ანტონოვმა.

გრუდესკუევი: „ბატონებო, აქ ბევრი ილაპარაკეს ამნისტის საკითხის დასასაბუთებლად. წარმოითქვა სხვა და სხვა აზრი. მე ჩემის მხრით უნდა განვატყუდო, რომ ამნისტია არც წყალობის, არც სამართლიანობის და არც საკითხების საქმეა, იგი საქმეა სასოწარკვეთილებისა. თუ გნებავთ, ალადინი ყველაზე უფრო მართალია, აბა დაუკვირდით და დაწმუნდებით, რომ იმისი აზრი ქვეშაობებია. დიად, ბატონებო, თუ განთავისუფლება შედეგი არ იქნება სამართლიანობისა, იგი შედეგი გახდება სასოწარკვეთილებისა. ფორმა ალადინის წინადადებასა უხერხულია. იგი ბრძოლაში გამოწვევაა, ჩვენი მდგომარეობა-კი მეტად სერიოზულია, რომ გამოწვევას და მუქარას მივმართოთ (საერთო მოწოდება), საქიროა სიმართლე, ნათელი სიმართლე. ვისთვის არის სასარგებლო საქის დღევანდელი ვითარება?—ორიოდე კაცისთვის და არა მცფისთვის. ხალხი ისეთ ყოფაშია, რომ ან უნდა განთავისუფლდეს ან უნდა დაიღუპოს. მე მგონია, ხალხის დაპირებება შეუძლებელია, მაგრამ თუ ახალი შეტაკება მოხდება, განა დარწმუნებულნი ვართ, რომ მოუხეშავი ფიზიკური ძალა არ გაიმარჯვებს? ბატონებო, საქიროა თანხმობა. თუ ამ წმინდა საქმეს თხოვნის სახეს მისცემთ, მე მაშინაც შეუერთებ ჩემ ხმას და ვფიქრობ, რომ სხვებიც ასევე უნდა მოიქცნენ“.

გალეკციმ წინადადება შეიტანა, მოისპოს კამათი და საქმის შესახებ. კენჭი უყარეს როდინევის წინადადების მესამე მუხლს და ზამოლოტინის დამატებას სიკვდილით დასჯის შეჩერების შესახებ. მიღებულ იქნა ერთხმად. გაისმა ალტაცებული ტაშის ცემა. ყველანი ფეხზე იდგნენ, როდინევი ითხოვა კრების გათავება, რომ დეპუტატები კარგის შთაბეჭდილებით დაშლილიყვნენ. შემდეგი კრება მოხდება ხვალ, ნაშუადღევს ორ საათზე.

30 აპრილი, მიუხედავად სახელმწიფო სათათბიროში გამოთქმულ აზრისა. რომ არ მიიღონ მონაწილეობა არავითარ ღონისა და დღესასწაულში

ამნისტის გამოუცხადებლობის გამო, ქალაქის საბჭომ ქალაქის თავის დაჟინებით მაინც გამართა ნადიმი, რომელსაც დაესწრო 50-მდე წევრი სახელმწიფო საბჭოსი და რამდენიმე მემარჯვენე წევრი სათათბიროსი.

ასე, 11 საათი იქნებოდა, რომ ლიტენინს და ნეცკი პროსპექტები აუარებელი ხალხით გიჟდა. წინ წითელი ბაირალები ფრიალებდა და ჩვეულებრივ სიმღერებს გასახზოდნენ ხალხი სრული ამნისტის ძახილით მიადგა სასამართლო შენობას, საცა წინასწარ დატუსაღების საბატიროა გამართული. ანჩიკოვის ხიდან მცირე შეტაკება მოხდა პოლიციასა და მანიფესტანტებს შორის, რის შემდეგაც ხალხი გაემართა სახელ. სათათბიროს შენობისაკენ ნადიმის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. გაჩნდა ცხენოსანი ჯარი და პოლიციელთა რაზმი, და ამით გაფანტვა დაუწყეს დემონსტრანტებს. ხალხი ორად გაიყო. ერთი წილი ვიზორგის ციხისაკენ გაემიდა და გზა-გზა „ამნისტია, სრული ამნისტია“ გაიძახოდა. ასე შუალამე იქნებოდა, როცა სახალხო სახლიდან დაიძრა დიდძალი მუშა-ხალხი წითელის ბაირალებითა და რევოლუციონურ სიმღერების მღერით. პასაჟთან ორატორი შესდგა მაღლობზე და შეეცადა სიტყვის წარმოთქმას, მაგრამ პოლიციამ მოუწწრო, გაპყო შეკრებილნი ორ ნაწილად და გაშვენტა. არაფერ არ დაშვებულა.

დეპუტატმა სედლენიკოვმა განუცხადა ვაზეთებს, როცა ნობელის სახლში მიტრინე შესვლას ვაპირებდი, პოლიციამ შეურაცხყოფა მომაცენაო. ეს ინციდენტი დღეს გაირჩევა სათათბიროს კრებაზე.

შერენგოვი: „ამნისტის საკითხს დაუყოვნებლივ გადაჭრას შეიძლება კონფლიქტი მოჰყვეს მთავრობასთან. ჩვენ მზადა ვართ კონფლიქტისათვის, მაგრამ კონფლიქტიცაა და კონფლიქტიცა! ჩვენ ჩვენს სიტყვა წარმოკმარებით და, ვისაც ყურები აქვს რუსეთში, გაიგონს ეს სიტყვა და გაიგოს. მაშასადამე, ჩვენ ჩყენი საქმე ვავაკეთეთ. როგორც უნდა გადაწყვიტოთ სხვანაირად ეს საკითხი—გავუგზავნით ხელმწიფეს დებუშას თუ დეპუტატის, კონფლიქტი მაინც აუცილებელია. მართლდაც, რანაირ მდგომარეობაში ჩავვარდებით მაშინ, თუ არც ერთსა და არც მეორეზე არავითარი პასუხი არ გავცა ხელმწიფემ ანა და უარი გვითხრა? რიდას თქმა შეგვიძლიან შემდეგ, სათქმელია კი აუა-

რებელი გვაქვს. მარტო ამნისტიისათვის ხომ არ გამოვუგზავნივართ ჩვენ აქ ხალხს. ასე, მაშ, კონფლიქტი რომ მოხდება, ეს ექვს გარეშეა, მაგრამ სასურველია თუ არა იგი ამისთანა ნიადაგზე აღმოცენდეს? როცა ხალხი სათათბიროსაკენ გვისტუმრება, მოგვთხოვა მიწა და თავისუფლება მოგვიპოვეთო. შეუძლია მთავრ სათათბიროს ისე დაიშალოს, რომ ეს ძირითადი მოთხოვნები არ შეუსრულოს ხალხს? ამნისტია ყველაფერს არა ნიშნავს და იმის მოპოვებით ჩვენ ხალხს მაინც ვერ დაეკმაყოფილებთ. რა საჭიროა ჩვენსავე თავს ვუმლოთ, რომ ჩვენა და მთავრობა ერთი-მეორის მოპირდაპირე მტრები ვართ. შეიძლება ყოველ წუთს ომი დაიწყოს და ყოველდ ბუნებრივია, რომ თვითვეული მხარე სცდილობს შეტაკებისთვის ყველაზე მოხერხებულნი მომენტები აირჩიოს, მთავრობისთვის კი, შეიძლება, გზაა ასეთი მომენტი და უნდა ახლავდებიოდეს ბრძოლის ველზე ვასლა იარაღით ხელში. მე ვიმორბე, რომ კონფლიქტისა ჩვენ არ გვეშინიან და არც გავეჭვებით, მაგრამ ჯერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ მივლი ხალხი ნამდვილად გვიქერს მხარს და მოგვეცემა და არ გვისაყვედურებს შემდეგში, რაც თავი-და-თავია, ამ წუთას ჩვენ კიდევ არა ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი განცხადებანი და ხალხის მოთხოვნები ერთი და იგივეა. ამ წუთში ჩვენ, შეიძლება, ხიფათს მივცეთ თვით უძვირფასესი სიკეთე ხალხისა, შემდეგში კი საფთხე თუ იქნება, მხოლოდ ჩვენ დავატყდებთ თავს. საჭიროა შეიგრძნოდეთ გუშინდელს ჩვენს გადაწყვეტილებაზე. ნუ დაეაყენებთ საკითხს მწვავედ, რათა ხალხი მუდამ ჩვენ მხარეზე ვიყოლიოთ?"

მღ. ტრაუნსი (ვიტუბსკის გუბერნიიდან). „დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს ამნისტია. ამას გარდა, გუშინ დავიწყდათ ის დამსჯელი რაზმები და მათრახები, რომელნიც დღესაც დასეირნობენ გლახაკების ზურგზე. მე ისეთ გუბერნიიდანა ვარ გამოგზავნილი, სადაც მცხოვრებლები დღემდე სისხლის მორევში სკურავს, სადაც ციხეები გლახაკებითაა სავსე“. ორატორი თხოულობს სეფე-სიტყვის საპასუხო აღრესში შეიტანონ მოთხოვნები დამსჯელ რაზმების დაუყოვნებლივ გამოყვანის და სამხედრო წესების გაუქმების შესახებ.

ტრეპსკუჟი. საჭიროა ამნისტიის გამოცხადების დაჩქარება, მეტი მოთმენა აღარ შეიძლება; მე

ყველაზე მეტად მესმის ეს სურვილი ტუსალების განთავისუფლებისა, რადგან თვითონ გამოვცადე ასეთი მდგომარეობა. იქ 200 კაცი ელოდა თავისუფლების გამოცხადებას და რომ მაშინ მიეცათ იგი, უკეთესი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ესლ უნდა დაშურება საქმეს. მშვენივრად მოიქცნენ ორის წინადადების შემომტანნი. ამ ორ განცხადებას ვერბრას მივეუბნებთ იმას გარდა, რაც უკვე გამოვცაქვით და რაც გადმოგვქვდა ბაგდან, ვითარცა მხიარული ხმა ნაწამებ სულისა. სულ ერთი, დაუყოვნებლივ შედეგს ჩვენ ვერ მავალწვეთ და ამიტომ დავკმაყოფილდეთ ჩვენს დადგენილებას. პლატამ ამ საკითხს ულტიმატუმის ფორმა არ უნდა მისცეს. მხოლოდ რამდენსამე დღეს უნდა ეწლოდოთ. ეს ასე უნდა გავეთდეს, რათა თავი დავახწვიოთ საყვედურს ისტორიის წინაშე.

სრულიად სომეხთა კათოლიკოსმა მკრტიმმა შემდეგი შინაარის დეპეშა გამოუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს:

„დღევანდელ დიდად შესანიშნავ დღეს, როცა დიდებული რუსეთი ჩაირიცხა კონსტიტუციონურ სახელმწიფოს ოჯახის წევრად, მე ლოცვა-კურთხევით სალამს უძღვნი სახელმ. სათათბიროს ჩემისა, ეკლესიისა და მთელი სომხის ხალხის სახელით, იმ სომხის ხალხისა, რომელმაც სამუდამოდ შეუკავშირა თავისი ბედ-იბაღი რუსეთის დიდებულს ერს. კურთხეულმც იყვეს პირველ სათათბიროს წევრთა მარჯვენა ახალ ცხოვრებისადმი მიმსწრაფი რუსეთის მოქალაქეთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ; ღმერთმა ჰქნას აღსრულდეს აღთქმა წინასწარმეტყველისა: „დღეე, დიოდღეს სასამართლო, ვითარცა წყალი და სიმართლე ვითარცა ძლიერი ღვარი“.

პოლონეთის დეპუტატებმა შემდეგი განცხადება წარუდგინეს სახ. სათათბიროს: რადგან სახელმწიფო სათათბირო სეფე-სიტყვის პასუხის შედგენას აპირებს, ჩვენ, პოლონეთის დეპუტატები, წმიანდა მოვალეობად ვრაცხთ შემდეგი მოგახსენოთ: ეხლანდელი პოლონეთი, რომელიც 91 წლის წინად შესდგა წინანდელ პოლონეთის სახელმწიფოს ერთ ნაწილიდან, შეუერთდა რუსეთს სავრთაშორისო აქტების თანახმად, სახელდობრ: რუსეთის ტრაქტატი ავსტრიასა და პრუსიასთან 1815 წ. 3 მაისისა და ვენის კონგრესის საბოლოო აქტი 1815 წ. 15 ივნისისა ხსენებულ ტრაქტატების ძალით, ამ

შერთვისის საფუძველი და პირობები იყო პოლონეთის საკუთარის კონსტიტუციის მინიჭება და რუსეთის იმპერატორის მიერ პოლონეთის მეფის ტიტულის მიღება. ამ პირობის მიხედვით, იმპერატორმა აღექანდრე პირველმა მისცა პოლონეთს კონსტიტუცია 1815 წ. 27 ნოემბერს, რომელმაც უბრუნველყო ჩვენის ქვეყნის ავტონომია და აღიარა პოლონეთის მეფის გვირგვინის მემკვიდრეობით გადაცემა რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობის კანონების თანახმად; ეს კონსტიტუცია იმპერატორმა სავალდებულოდ აღიარა როგორც თავისთვის, ისე თავის მემკვიდრეებისათვის. ნიკოლოზ პირველმა შესცვალა კონსტიტუცია ეგრედ წოდებულ „ორგანიულის გრამოტიი (1832 წ.), რომელმაც წაართვა პოლონეთს სახალხო წარმომადგენლობა, მაგრამ დასტოვა პოლონეთის განსაკუთრებული მართვა-გამგეობა და წესწყობილება. ამრიგად, თვით ეს გრამოტიც არ სპობდა სრულიად პოლონეთის ავტონომიას. ამ ავტონომიის გაუქმება მოხდა შემდგომი განსაკუთრებულ კანონებითა და აღმინისტრატულის განკარგულებებით, რომელთაც არა ჰქონდათ იურიდიული ძალა პოლონეთისა და რუსეთის ურთიერთობის მოსასპობლად. სახელმწიფო ძირითადს კანონებში აღნიშნულია დღემდისაც, რომ „საიმპერატორო ტახტისაგან განუშორებელია პოლონეთის სამეფოსა და ფინლიანდიის სათავართო ტახტები“. გამოცემულ (1906 წ. 23 აპრ.) ძირითად კანონებში პოლონეთი აღარ არის სამეფოდ ნახსენები. ამგვარად, სწორედ სახ. სათათბიროს გახსნის წინა დღებში მთავრობა სპობს წინანდელს ძირითად კანონს პოლონეთის შესახებ და ეს ხდება იმ დროს, როცა პოლონეთის მთელი ერი მხურვალედ და ერთსულოვნებით მოითხოვს ავტონომიას, როცა ამ მოთხოვნას თანაგრძნობით მიეგება თვით რუსეთის ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა, როცა ჩვენ, პოლონელებს, შეძლება მოგვეცა ჩვენი დაურღვეველი უფლებანი დაგვეცვა რუსეთის ხალხის წარმომადგენელთა წინაშე; სწორედ ამ დროს რუსეთის მთავრობა გვეღობება წინ. ძირითად კანონებში პოლონეთის სამეფოს ხსენების გაუქმებით მთავრობის განზრახვა აქვს აუკრძალოს სათათბიროს პოლონეთის ავტონომიის სიკითხის განხილვა. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ასეთ ძალმომრეობის წინააღმდეგ, პოლონეთის ერის უფლებათა დათრუნვის

განზრახვის წინააღმდეგ და ამ პროტესტით მოგმართავთ თქვენ, რუსეთის ხალხის წარმომადგენელთ, ჩვენი უფლება ხელუხლებელი და წმინდა უნდა იყოს, ამ უფლებიდან გამომდინარეობს პოლონეთისათვის ავტონომიის დაწესების სპირობა, რასაც მთელი ჩვენი ერი მოითხოვს. ამ მოთხოვნითვე მივიღივართ ჩვენ აქ, სახელმწიფო სათათბიროში რათა დაეცვათ ჩვენი უფლებანი და ვიბრძოლოთ ჩვენის თავისუფლებისათვის“.

სუფუ-საქვევის საზახუხა ჯდრესას ზნაქქტა, შედგენილა სათათბიროს კამისიას მიერ:
 „თქვენმა იმპერატორებით უდიდებულესობამ კეთილინება და განაცხადა სათათბიროს წევრების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, რომ თქვენს უდიდებულესობას გადაწყვეტილი აქვს შეურყვევლად დაიცვას ის დადგენილებანი, რომელთა ძალითაც ხალხი მოწოდებულ არს, მეფესთან ერთად, განახორციელოს საკანონმდებლო ძალაუფლობა მეფის ან დიდებულსა და ხალხის წარმომადგენელთა წინაშე შეურყვევლად დადებულს აღთქმაში. სახელმწიფო სათათბირო ჰხედავს კანონმდებლობით წეს-რიგის განვითარების მტკიცე საფუძველს, იმ კანონმდებლობისას, რომელიც შეეფერება ქვემარტ კონსტიტუციონურ პრინციპებს. სახელმწიფო სათათბირო, თავის მხრივ, არ დაჰზოგავს ძალას და ღონეს ხალხის წარმომადგენლობის საფუძელის გასანეთარებლად და წარსამატებლად. იგი დასამტკიცებლად წარუდგენს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას კანონს ხალხის წარმომადგენლობის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება, თანხმად ხალხის მიერ ერთსულოვანად გამოთქმულ სურვილისა, საყველთაო საარჩევნო უფლებების პრინციპზე.“
 „თქვენის უდიდებულესობის მოწოდებას სამშობლოს სასარგებლოდ მუშაობისადმი გულმხურვალედ უერთებენ თვითან ხმას სახელმწიფო სათათბიროს წევრნი. სახელმწიფო სათათბიროს, შემდგარს ყველა კლასისა და ერის წარმომადგენელთაგან, აერთებს ის მხურვალე მისწრაფება, რომ განახლდეს რუსეთი და დამყარდეს იქ სახელმწიფო წეს-რიგი, დაფუძნებული ყველა კლასისა და ერის შორის მშვიდობიან თანაცხოვრებასა და მოქალაქობრივ უფლებების მხარე ბურჯებზე; მაგრამ, ამასთანავე სახელ. სათათბირო მოვალედ რაცეს თავის თავს, განაცხადოს, რომ ის პირობები, რომელშიაც

ამ ჟამად რუსეთის ცხოვრება, შეუძლებლად ხდის ქვეშაირიტ და ნაყოფიერის მუშაობას, მიმართულს სამშობლოს საუკეთესო ძალთა აღორძინებისაკენ. სამშობლო აღიარებს, რომ მთელის ჩვენის სახელმწიფო ცხოვრების თავი-და-თავი წყალული მოხელეთა თვითნებობაა, იმ მოხელეთა, რომელთაც მეფე და ხალხი დაუშორებიათ ერთმანეთისაგან; იგი, აღმოადებული რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივ აღორძინების ერთობრივ ცეცხლით, ხმა მალთა დაღადებს, რომ ცხოვრების განახლება შესაძლებელია მხოლოდ თავისუფლების საფუძველზე, მხოლოდ მაშინ, როცა თვითონ ხალხია თვითმოქმედი მონაწილე კანონმდებლობით ძალასა და კანონების აღმასრულებელთა კანტროლში. თქვენმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და სწორედ ეს ზემოსწინებული პრინციპები აუწყა ხალხს ტახტიდან 1905 წ. 17 ოქტომბერს და ამასთან გამოსთქვა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ რუსეთის მომავალს სწორედ ეს საფუძველი დაედება. დიდისა და ერთსულოვანის აღტაცებით მიეგება მაშინ ამ ამბავს რუსეთის ხალხი: მაგრამ ჯერ არც კი დაწყებულიყო პირველი დღე თავისუფლებისა, და რუსეთს ახალი, შავბერელი და მძიმე განსაცდელი დაადგა იმ პირთა წყალობით, რომელნიც ჯერ კიდევ განაგრძობენ 17 ოქტომბრის თავისუფლებათ ფებ ქვეშ ქელვას, რომელთაც შეარცხვენეს სამშობლო, რომელთაც, განუჯსლად, დახურტეს, დაჟლიტეს და დაახატომრეს იმდენი ხალხი; აი აღმინისტრაციის ამისთანა მოქმედებამ ისეთი ღრმა კვალი დაამჩნია ხალხის სულში, რომ ქვეყნის დაწყნარებაზე ლაპარაკი არ შეიძლება მანამდე, სანამ ხალხს არ მიეცემა ის გარანტია, რომ დღეის ამირ თქვენის უდიდებულესობის სახელით მოქმედ მოხელეების ძალიმოპროვას არ მოკლებმა ბოლო, სანამ მინისტრები არ იქნებიან პასუხის მგებლნი ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და სანამ ამისდამიხედვით არ გარდაიქმნება სახელმწიფო სამსახურის ყველა დარგში მყოფი აღმინისტრაცია.

„ხელმწიფო! მხოლოდ მაშინ დარწმუნდება ხალხი მეფის სოჟლს პასუხის მგებლობაში, როცა სამინისტრო ვალდებული იქნება თავის მოქმედების ანგარიში თვითონ ხალხს ჩააბაროს, მხოლოდ იმ სამინისტროს შეუძლიან მთავრობისადმი ხალხის ნდობის განმტკიცება, რომელიც სათათბიროს უმე-

ტესობის ნდობით იქნება აღქურვილი და არჩეული, მხოლოდ ამისთანა ნდობით შეიძლება სათათბიროს წყნარი და წესიერი მოქმედება, მაგრამ, უწყინარეს ყოვლისა, საქაროა რუსეთი განთავისუფლდეს სხვა და სხვა განსაკუთრებულ წესების ბრქალებიდან, როგორიცაა, მაგალ, გაძლიერებული დაცვა და სახმედრო წესები, რომელთა წყალობითაც უსახუნვრო თვითნებობა ეძლევა აღმინისტრაციის აღვირწახსნილობას. იმის გარდა, რომ აღმინისტრაცია ხალხს უნდა დამემორჩილოს, საქაროა განხორციელება ქვეშაირიტ სარჩენო უფლებისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მეფის და ხალხის შვერთებული მოქმედებაა წყარო კანონმდებლობითის ძალისა და ამიტომ უნდა დაინგრეს ყოველივე კედელი მეფესა და ხალხს შორის. არ შეიძლება ისეთი კანონის არსებობა, რომლის გადახედვა ყოველ წუთში არ შეეძლოთ მეფესა და ხალხს.

„სახელმწიფო სათათბირო თავის სინიდისის მოვალეობადა სთვლის მოახსენოს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას ხალხის სახელით, რომ მთელი ერი მხოლოდ მაშინ შეუდგება ქვეშაირიტის ძლიერებითა და აღფროვანებით სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრების განახლებისათვის მუშაობას, როცა სათათბიროსა და მეფის შუა არ იქნება ჩაყენებული წარჩინებულ მოხელეთაგან და მალალ წოდებთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი სახელმწიფო სასტუა და როცა სათათბიროს საკანონმდებლო მოვალეობა შებორკილი არ იქნება არავითარ საგანგებო კანონებით.

„სახელმწიფო სათათბირო ასრულებს მოვალეობას, რომელიც ხალხმა პირდაპირ დააკისრა და ამიტომ დაუყოვნებლივ საქაროდ სთვლის, რომ ქვეყანა უზრუნველყოფილი იქნეს პიროვნების ხელშეუხებლობის, სინიდისის, სიტყვის, პრესის, კრების, კავშირების და გაფიცვის თავისუფლებათა კანონებით; სათათბირო დარწმუნებულია, რომ თუ ეს კანონები, რომელიც უკვე 17 ოქტომბრის მანიფესტში იყო აღიარებული, არ განხორციელდა საესებით, გერავითარი საზოგადოებრივი რეფორმა ვერ მიიკიდებს ფესს.

„სახელმწიფო სათათბიროს ღრმად სწამს, რომ ვერც თავისუფლება, ვერც უფლებრივი წესიერება ვერ დამყარდება, თუ არ დაწყეს ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე; ამიტომ სათათ-



ბირო შეიმუშავებს კანონს მოქალაქობრივ თანასწორობის დაწესებისა და ყოველგვარ შეზღუდვისა და პრივილეგიის მოსპობის შესახებ, რომელიც არსებობს დღეს წოდების, ეროვნების და სარწმუნოების მიხედვით.

„სახელმწიფო სათათბირო წინააღმდეგია სიკვდილით დასჯისა, თუნდაც იგი სასამართლოს დადგენილი იყოს. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება არასოდეს და არავითარ პირობაში. სახელმწიფო სათათბიროს უფლება აქვს განაცხადოს, რომ მიუღრუსეთის სურვილის გამომთქმელი იქნება იმ დღეს, როცა საბოლოოდ მოსპობს სიკვდილით დასჯას.

„უხელოვესი საქმე სახელმწიფო სათათბიროსი არის გამორკვევა სოფელთა საქიროებებისა და შესაფერ საკანონმდებლო ღონისძიებათა მიღება. უდიდესი ნაწილი სახელმწიფოსი—მშრომელი გლეხობა მოუთმენელად ვლის მიწის უკიდურეს საკიროების დაკმაყოფილებას და რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბირო არ ასარულებს თავის მოვალეობას, თუ ეხლავე არ მიიღებს გადაწყვეტილი ღონისძიებას ამ არსებით საქიროების დასაკმაყოფილებლად, რასაც უნდა მოხმარდეს სახაზინო, საფულისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო და მემამულეთაგან ჩამორთმეული ადგილ-მამული. სახელმწიფო სათათბირო ასევე აუცილებელ საქიროებად სთვლის ისეთ კანონების შემუშავებას, რომელიც გლახობას სხვებთან თანასწორ უფლებას მიანიჭებს და მოაშორებს მას ძალმომრეობისა და მზრუნველობის სიმძიმეს.

„ასევე აუცილებელია ქალაქის მუშების საქიროებათა დაკმაყოფილება. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ ის იქნება, რომ მუშებს უნდა ჰქონდეთ სრული უფლება ორგანიზაციების მოწყობისა და თვით-მოქმედებისა ქირის პირობების გასაუმჯობესებლად და ქონებრივი და სულიერ კეთილდღეობის ასამაღლებლად.

„სახელმწიფო სათათბირო თავის მოვალეობად სთვლის ყოველი ღონე იღონოს ხალხის განათლების ასამაღლებლად და პირველ ყოვლისა შეიმუშაოს კანონი საყოველთაო უსასყიდლო სწავლისა.

„ამასთანავე სათათბიროს თავის მოვალეობად მიანიჩა საგანგებო ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო ხარჯთ-აღრცხვის და გადასახადების სამართლიან გაწერას. არა ნაკლები არსებითი საკანონმ-

დებლო შრომა იქნება ადგილობრივ მართველობისა და თვითმმართველობის ძირითადი ცვლილება საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე.

„დასასრულ სახელმწიფო სათათბიროს თავის დაუყოვნებლივ ასარულებელ საქმეებ შორის ჩირიცხულ აქვს ცალკე ერების მომწიფებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილება. რუსეთი ისეთი სახელმწიფოა, სადაც სხვა და სხვა ტომის ხალხები სტოვრობენ; სულიერი გაერთიანება ამ ხალხების შესამდებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებული იქნება თითოეულ მათგანის მოთხოვნა—დაცვა და განვითარება მათ ყოფა-ცხოვრების თავისებურებისა. სახელმწიფო სათათბირო იზრუნებს, რომ ეს სამართლიანი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქმნეს და ამით დამყარდეს მშვიდობიანობა და განმტკიცდეს კავშირი ცალკე ნაწილებს შორის, კავშირი, დამყარებული ურთერთ პატივისცემაზე.

„თქვენი უდიდებულესობა! ყოველ ჩვენ დაწყებულებას წინ უდევს ერთი საქმე, რომელიც მთელის ხალხის სულს აღვლებს, გვალვებებს ჩვენც, ხალხის არჩეულებს, და შეძლებას არ გვაძლევს შეუდგეთ მოქმედებას სახელმწიფო სარბიელზე. პირველი სიტყვა, რომელიც გაისმა სათათბიროს დარბაზში და რომელსაც ყველა თანაგრძნობით მიეგება, „ამნისტია“ იყო. მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ელის სრულ პოლიტიკურ ამნისტიას. არის ხალხის სინდისის მოთხოვნა, რომლის დაუკმაყოფილებლობა, ასრულების დაგვიანება შეუძლებელია. ხელმწიფევ, სათათბირო ღრმად დარწმუნებულია, რომ ამნისტია შეიქნება პირველი საბუთი მეფისა და ხალხის ურთიერთ თანხმობისა და ნლობისა“.

ასალი ამბები და შენიშვნები.

* * * სახელმწიფოს საბჭოს წევრებს აჩვენებს სამდგველაქებისაგან. გური-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელთა უფრო გონივრულად მოიქცა სახელმწიფო საბჭოს წევრის აღრჩების საქმეში ვინც ქართლ-კახეთისა და იმერეთისა. გური-სამეგრელოს სამღვდელთაგან მხოლოდ შეკრება ერთად და ლაპარაკება წინდა-წინ. შემდეგ ყველა საბალო-

ჩინო ოლქებში მოხდა კრება და ყველგან ერთი და იგივე სამღვდლო პირი აირჩიეს. ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ პირის ღირსებასა და უღირსებაზე, მაგრამ, ვინაიდან მთელი ეპარქიის სამღვდლოება ირჩევს შეიძლება, თუ რუსეთში უმეტესი ხმა არ აღმოუჩნდათ შეხედვს წევრობა. სხვა ეპარქიებში ძლიერ გაუგებლად ირჩევენ წევრებათ სხვა-დასხვა არა შესაძენვე პირებს. დიდი მიწერ-მოწერა გამართეს დეკ. ცაგარეიშვილის აღრჩევაზე ბლადოჩინებთან, მაგრამ ყველგან არ აირჩიეს. სამღვდლოებას კარგად ახსოვს, როცა მან განაცხადა სახალხოდ, რომ არასოდეს სამღვდლოების საქმეში იგი მდნაწილეობას არ მიიღებს. ამასთან მან ბევრი სამღვდლოების ნდობა დაკარგა როცა პასპორტების მოლოჩინად გამოცხადდა.

* * * კაკუკაშ-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: მამათს საღამოს, ვერაზე, პეტროვის ქუჩაზე, მიხ. სულხანაგის სახლში, პოლიციამ აღმოაჩინა ყუმბარების საწყობი. ამ სახლში ხუთი ოთახია; ერთი ოთახი ორად ყოფილა გაყოფილი თხელის კედლით. ორ კედელს შუა, 12 ვერსოკის სიგანეზე, ყოფილა ლაბორატორნია და საწყობი. სულ აღმოჩნდა 254 ყუმბარა; აქედან უკვე გამზადებული ყოფილა 9 ყუმბარა „მაკედონის ტიპისა“ და 139 ეგრედ წოდებული „ავკონის ტიპისა“, დანარჩენი გაუტენელი ყოფილა. გარდა ამისა საწყობში აღმოჩნდა 1000 დინამიტის პატრონა, 500 თოვის პატრონა, 35 გირვანქა დინამიტი, ხანჯალი, ხიშტი და სხვა და სხვა მასალა ყუმბარის მოსამზადებლად. დაპატიმრებულია სახლის პატრონის შვილი ივ. სულხანაგვი, რომელიც ამ სახლში იღვა, თვითონ სახლის პატრონი კი გადმოხდა. ამ სახლზე კარგა ხანია ეკვი იყო მიტანილი. ექსპეჯერ კიდეც გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს, რადგან არავის აზრალაც არ მოსვლია კედლის გარღვევა.

* * * 2 მაისს, თფლისიდან პეტერბურგს გაემგზავრნენ სახელმწიფო საბჭოს წევრი თ-დ ი. გ. ჯავახიშვილი და სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი. თავ. ჯავახიშვილის გაცილება რკინის გზის სადგურიდან კიდეც გადაუღიათ. ამბობენ, რომ ერთი კვირის

შემდეგ ი. ჯავახიშვილი-ისევ-დაბრუნდება დასასვენებლად. მართლა ძნელი ასატანია ის ცხარე მუშაობა რასაც სახელმწიფოს საბჭოს წევრები ეწევიან პეტერბურგში დღეს... დასვენება კი არის საჭირო...

* * * სახელგანთქმულ არდაზიანს კიდეც აღმოაჩნდა გაფლანგული ფული, რომელიც თ-დ მუხრანსკებს შეეწირათ მირიანის საფლავზე ნიშის ასაგებად გაფლანგული ფული 200 თუმანს უდრის.

* * * აღმოჩნდა ნასყიდობის ქაღალდი, რომლიდანაც ცხადად სჩანს, რომ თფლისის ძველი სემინარია ქართველ სამღვდლოების ფულებით არის ნაყიდი.

* * * დღუშეთის ხაზინის გამცარველნი ცხრა კაცი უკვე შეუპყრია პოლიციის მცხეთაში. ფულები უნახავთ 50 ათასი მანეთი 315 ათასი მენეთიდან. რამდენიმე საზღვარ-გარეთ გაქცეულა.

* * * ჩიტაძის მაგიერ მიღიანდ სინოდის კანტორაში დაუნიშნავთ პ. ა. დავიდავი.

* * * ხმები, რომ ხელმწიფეს არ შეუწყნარებია სახელმწიფოს სათათბიროს თხოვნა—ადრესი. ამბობენ, რომ ცოტა ხანში შესანიშნავი განკარგულებანი მოხდებიანო.

* * * დათხოვილ იქნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეობიდან, თანახმად მისივე თხოვნისა, ავადმყოფობის გამო, ვახუ სოღოსი.

* * * „რეჩი“—სიტყვით, დიდი მამულების მქონე სასახლის წევრებს ეშინიანთ სათათბიროს გარეკის, რასაც, მათის აზრით, მათის მდგომარეობის გაუარესება მოჰყვება.

* * * სავარდონაშალიცო შეუდგა პეტერბურგიდან უსაქმო მუშების გადასახლებას. გუშინ მათის პარტიის 40 კაცს მისცეს წასასვლელი მოწოდებები. ცოლ-შვილიანები 3 დღის განმავლობაში უნდა გავიდნენ პეტერბურგიდან, უცლონი 24 სათისა.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალითარატურო განყოფილება: ყოველ კვირად საქმეს ეშმაკი ელაზება წინ, სოფლის ხუცისა. —გაბრთხილდით, მამანო!—მწარე ფიტრები, სოფლის ხუცისა. —ყურნალ-გაზუთებიდან. —ახალი ამბები და შენიშვნები.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ღამბაშიძე,

სტამბა თურნალის „მეფის“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.

*წილობრივ ქაქუხიძეს
ახსენებ*